



2024 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-ნოემბრის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
დეკემბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 22,901.8 მლნ ლარი

წლიური გეგმის 93.2%

გადასახდელები - 22,556.7 მლნ ლარი



წლიური გეგმის 90.1%

ნაშთის ცვლილება
345.1 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
1,989.4 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-1,354.0 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით^[1] შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-ნოემბერში მიღებული შემოსულობები 22,901.8 მლნ ლარს (წლიური გეგმის 93.2%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,724.5 მლნ ლარით (13.5%-ით) აღემატება.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-ნოემბერში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 22,556.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 90.1%) შეადგენს, რაც 2,936.1 მლნ ლარით (15.0%-ით) მეტია წინა წლის 11 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, წლიური გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (94.4%), არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები (შესაბამისად, 18.3%-იანი და 3.4%-იანი) გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (83.5%).


გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური გეგმის მიმართ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების მაჩვენებლები კარგი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 91.9% და 85.6%), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლებით გადასახდელები შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (შესაბამისად, 71.7% და 82.8%).

[1] საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 11 თვეში 1,989.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -1,354.0 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 11 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2024 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,577.3 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-ნოემბერში მიღებული შემოსულობების და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 345.1 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 დეკემბრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,922.4 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2020-2024 წლების 11 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნოემბრის მარჯვენებლები

2024 წლის ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 1,950.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც თითქმის უტოლდება (0.1%-ით, 1.0 მლნ ლარით აღემატება) ოქტომბრის მარჯვენებელს (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების მატების გავლენით), ხოლო წინა წლის ნოემბრის მარჯვენებელთან შედარებით, 132.0 მლნ ლარით გაზრდილია. რაც შეეხება 2024 წლის ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდებლებს, მისი ოდენობა 2,054.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც ოქტომბრის მარჯვენებელზე 199.1 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2023 წლის ნოემბრის მარჯვენებელს 108.5 მლნ ლარით აღემატება.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდებლები 2022-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და განეული გადასახდებლების კომპონენტებს:

შემოსავლების სახით მიღებულია 1,610.1 მლნ ლარი (შემოსულობების 82.6%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 303.8 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენებლები, შესაბამისად, 8.7 მლნ ლარს და 27.4 მლნ ლარს უტოლდება.


შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




გადასახდებლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ნოემბერში განეული ხარჯების მოცულობა 1,585.2 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდებები 270.0 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მარჯვენებლები - შესაბამისად, 20.3 მლნ ლარს და 179.1 მლნ ლარს.



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც ნოემბერში მიღებული მთლიანი შემოსულობების 77.9% და შემოსავლების 94.4% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა ნოემბერში გადასახადებიდან 1,519.7 მლნ ლარი მიიღო, ოქტომბრის მაჩვენებელზე 135.1 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად დაკავშირებულია სხვა გადასახადების^[2] (106.8 მლნ ლარით), აგრეთვე, დღგ-ისა (54.6 მლნ ლარით) და აქციზის (31.1 მლნ ლარით) კლებასთან (იმპორტირებული თამბაქოსა და ბენზინის დაბეგვრიდან შემოსავლის კლების გავლენით). დანარჩენი გადასახადები მომატებულია: მოგების გადასახადი - 15.4 მლნ ლარით, საშემოსავლო გადასახადი - 38.4 მლნ ლარით, იმპორტისა გადასახადი - 3.7 მლნ ლარით.



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი ნოემბერში განუული მთლიანი გადასახდელების 77.2%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა ნოემბერში 1,585.2 მლნ ლარი შეადგინა, წინა თვის მაჩვენებელზე 190.6 მლნ ლარით ნაკლები. ყველა სახის ხარჯი (გარდა შრომის ანაზღაურებისა, რომელიც გაზრდილია 36.5 მლნ ლარით) შემცირებულია, კერძოდ: სუბსიდიები - 80.3 მლნ ლარით, პროცენტი - 57.6 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 28.5 მლნ ლარით, გრანტები - 27.5 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 19.6 მლნ ლარით, ხოლო საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 13.5 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 24.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -236.4 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ნოემბერში მიღებული შემოსულობებისა (1,950.0 მლნ ლარი) და განუული გადასახდელების (2,054.6 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენებამ 104.6 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 22,901.8 მლნ ლარს შეადგენს. შემოსულობების სტრუქტურაში დიდი წილი, 85.4%-ის ოდენობით, შემოსავლებს უკავია, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში, 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია (გადასახადების მატების გავლენით). 2022-2023 წლების საანგარიშო პერიოდთან შედარებით გაზრდილია, აგრეთვე, შემოსულობებში შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელიც (2023 წელს შემოსულობების 83.6%-ს შეადგენდა, 2022 წელს - 83.5%-ს). რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს, აღნიშნული შემოსულობების წილობრივი მაჩვენებელი მთლიან შემოსულობებში, 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით შემცირებულია: 2024 წელს შემოსულობების 12.2%-ია, 2022-2023 წლებში კი - შესაბამისად, 14.9% და 14.6%. 2024 წლის 11 თვეში, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების ჯამური წილი მთლიან შემოსულობებში მცირეა და 2.4%-ს შეადგენს (2023 წელს 1.8%-ია, ხოლო 2022 წელს - 1.6%).

სახელმწიფო ბიუჯეტის 11 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლებს სახით 11 თვეში მიღებულია 19,567.9 მლნ ლარი, წლიური გეგმის 94.4%, წინა წლის მაჩვენებელზე 2,697.8 მლნ ლარით (16.0%-ით) მეტი. რაც შეეხება გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების დონეზე, წლიურ გეგმასთან მიმართებით, გადასახადები და სხვა შემოსავლები კარგი შესრულებით ხასიათდება, ხოლო გრანტები გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-ნოემბერში მიღებული გადასახადები 18,057.8 მლნ ლარს, წლიური გეგმის 94.5%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით გადასახადების წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები 83.7%-103.1%-ის ფარგლებში მერყეობს, (მ.შ. იმპორტის გადასახადი - ყველაზე დაბალი და მოგების გადასახადი ყველაზე მაღალი შესრულების დონით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 2024 წელს მისი გეგმა განსაზღვრულია 166.6 მლნ ლარით, 11 თვეში კი მიღებულია 72.1 მლნ ლარი.

2023 წლის 11 თვესთან შედარებით, გადასახადები 2,733.5 მლნ ლარით (17.8%-ით) არის გაზრდილი, რაც ძირითადად დღგ-ის, საშემოსავლო და მოგების გადასახადების (შესაბამისად, 10.6%-ით, 19.0%-ით და 52.6%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 692.2 მლნ ლარით (15.7%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ნოემბერში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 6,858.1 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 657.2 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 286.7 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 370.5 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 6.1%-ით (125.1 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (6.1 მლნ ლარით) შემცირების და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (131.2 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან, აქციზის სახით, მიღებულია 145.6 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლების 11 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (270.8 მლნ ლარი), წლიური გეგმის მიმართ, 1.8%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებულ შემოსავალთან (წლიური გეგმის 94.5%), აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 11 თვეში მიღებულია 72.5 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები, 61.6 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 61.6%) და საინვესტიციო გრანტები, 28.1 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 55.1%).

სხვა შემოსავლებს სახით, იანვარ-ნოემბერში, ბიუჯეტში მობილიზებულია 1,239.4 მლნ ლარი, წლიური გეგმის 91.8%, წინა წლის მაჩვენებელზე 42.6 მლნ ლარით (3.3%-ით) ნაკლები (ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების შემცირების გავლენით). სხვა შემოსავლის ძირითადი წილი შემოსულია საკუთრებიდან (55.3%, 685.0 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (22.7%, 281.0 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (236.7 მლნ ლარი) მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და წლიური გეგმის 118.3%-ს შეადგენს (რაც დიდწილად დაკავშირებულია არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან, ოქტომბერ-ნოემბერში, ბიუჯეტში 53.4 მლნ ლარის ჩარიცხვასთან), ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 131.0 მლნ ლარით (2.2-ჯერ) აღემატება.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები წლიური გეგმის მიმართ, 3.4%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 310.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 46.2 მლნ ლარით (17.5%-ით) აღემატება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით, 11 თვეში, ბიუჯეტში 2,787.0 მლნ ლარი ჩაირიცხა, რაც წლიური გეგმის 83.5%-ს შეადგენს. მ.შ. საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 1,497.0 მლნ ლარი (წლიური გეგმის 81.4%). კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში შემოსულია 327.4 მლნ ლარი (წლიური გეგმის 72.8%), ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 1,169.5 მლნ ლარი (წლიური გეგმის 84.2%).

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,290.1 მლნ ლარი (წლიური გეგმის 86.0%) შეადგინა.

	2024 წლის გეგმა	11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	3,338.5	2,787.0	83.5%
საგარეო	1,838.5	1,497.0	81.4%
საბიუჯეტო კრედიტები	450.0	327.4	72.8%
საინვესტიციო კრედიტები	1,388.5	1,169.5	84.2%
საშინაო	1,500.0	1,290.1	86.0%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2024 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 22,556.7 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 77.9%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2022-2023 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2023 წელთან შედარებით და შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში, ხარჯების წილი გადასახდელებში 78.2%-ს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის იანვარ-ნოემბერში - 76.6%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2024 წლის იანვარ-ნოემბერში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 15.9% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 1.0% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.2%. 2023 წლის იანვარ-ნოემბერში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 17.1%-ის, 1.2%-ის და 5.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში - 15.2%-ის, 1.2%-ის და 5.4%-ის ოდენობებით.



ხარჯებმა იანვარ-ნოემბერში 17,578.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 91.9%-ია. ხარჯების კომპონენტებიდან, წლიურ გეგმასთან მიმართებით, კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის (94.8%), სუბსიდიების (93.4%), გრანტების (91.7%) და პროცენტის (91.5%) მუხლები, ხოლო საქონლისა და მომსახურების (88.1%), შრომის ანაზღაურების (89.2%) და სხვა ხარჯების (89.6%) მუხლები - შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2023 წლის 11 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 2,545.9 მლნ ლარით (16.9%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების ყველა კომპონენტის მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (873.9 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.

პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (1,408.5 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 718.1 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 690.4 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (7,084.3 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (5,151.2 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (1,453.1 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (340.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2023-2024 წლების 11 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (3,580.1 მლნ ლარი) წლიური გეგმის 85.6%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი (1,651.2 მლნ ლარი) მიიმართა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (287.2 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (258.9 მლნ ლარი), ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (254.8 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (202.4 მლნ ლარი), ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (190.1 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (115.8 მლნ ლარი) და თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (89.3 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (219.1 მლნ ლარი) წლიური გეგმის 71.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები გადანაწილებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 74.5 მლნ ლარის ოდენობით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე 102.0 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე 42.7 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება (მლნ ლარი)



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,179.0 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 82.8%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი, 1,144.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2024 წლის გეგმა	11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,423.4	1,179.0	82.8%
საგარეო	1,380.6	1,144.3	82.9%
საშინაო	42.7	34.7	81.2%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 11 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 12 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 04) - 23.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 31 05 24) - 6.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 20) - 2.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 57 00) - 1.7 მლნ ლარის ოდენობით;
- „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 1.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახლი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 10) - 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 11) - 0.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.6 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს იანვარ-ნოემბერში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 2,579.1 მლნ ლარი, წლიური გეგმის 87.3%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 1,094.1 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 583.5 მლნ ლარი სპეციალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 509.5 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს და 1.1 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 340.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა, შესაბამისად, 582.7 მლნ ლარის, 47.8 მლნ ლარის და 5.0 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 21,158.6 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 90.8%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:

2024 წლის 11 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი)



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2024 წლის 11 თვე / 2023 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	20,177.3	24,569.5	22,901.8	93.2%	2,724.5	13.5%
შემოსავლები	16,870.2	20,731.0	19,567.9	94.4%	2,697.8	16.0%
გადასახადები	15,324.3	19,115.0	18,057.8	94.5%	2,733.5	17.8%
საშემოსავლო გადასახადი	5,090.3	6,345.1	6,055.2	95.4%	964.9	19.0%
მოგების გადასახადი	1,818.0	2,690.0	2,773.8	103.1%	955.8	52.6%
დღგ	6,200.9	7,388.3	6,858.1	92.8%	657.2	10.6%
აქციზი	2,047.9	2,375.0	2,173.0	91.5%	125.1	6.1%
იმპორტის გადასახადი	140.5	150.0	125.6	83.7%	-14.9	-10.6%
სხვა გადასახადები	26.7	166.6	72.1	43.3%	45.4	169.8%
გრანტები	263.9	266.0	270.8	101.8%	6.9	2.6%
სხვა შემოსავლები	1,282.0	1,350.0	1,239.4	91.8%	-42.6	-3.3%
არაფინანსური აქტივების კლება	105.7	200.0	236.7	118.3%	131.0	124.0%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	264.0	300.0	310.2	103.4%	46.2	17.5%
ვალდებულებების ზრდა	2,937.4	3,338.5	2,787.0	83.5%	-150.4	-5.1%
საგარეო	1,659.3	1,838.5	1,497.0	81.4%	-162.4	-9.8%
საშინაო	1,278.1	1,500.0	1,290.1	86.0%	12.0	0.9%
გადასახდელები	19,620.6	25,030.4	22,556.7	90.1%	2,936.1	15.0%
ხარჯები	15,032.7	19,120.9	17,578.5	91.9%	2,545.9	16.9%
შრომის ანაზღაურება	1,929.8	2,577.3	2,298.9	89.2%	369.1	19.1%
საქონელი და მომსახურება	1,859.8	2,232.0	1,966.3	88.1%	106.5	5.7%
პროცენტი	1,148.8	1,540.0	1,408.5	91.5%	259.7	22.6%
სუბსიდიები	849.9	1,044.9	975.6	93.4%	125.8	14.8%
გრანტები	1,064.1	1,513.0	1,388.1	91.7%	324.0	30.5%
სოციალური უზრუნველყოფა	6,210.5	7,470.4	7,084.3	94.8%	873.9	14.1%
სხვა ხარჯები	1,969.9	2,743.2	2,456.8	89.6%	486.9	24.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,354.4	4,180.6	3,580.1	85.6%	225.7	6.7%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	238.6	305.6	219.1	71.7%	-19.5	-8.2%
ვალდებულებების კლება	994.9	1,423.4	1,179.0	82.8%	184.0	18.5%
საგარეო	960.3	1,380.6	1,144.3	82.9%	184.0	19.2%
საშინაო	34.6	42.7	34.7	81.2%	0.1	0.2%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	556.6	-460.9	345.1			

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2024 წლის 11 თვე / 2023 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	16,870.2	20,731.0	19,567.9	94.4%	2,697.8	16.0%
გადასახადები	15,324.3	19,115.0	18,057.8	94.5%	2,733.5	17.8%
გრანტები	263.9	266.0	270.8	101.8%	6.9	2.6%
სხვა შემოსავლები	1,282.0	1,350.0	1,239.4	91.8%	-42.6	-3.3%
ხარჯები	15,032.7	19,120.9	17,578.5	91.9%	2,545.9	16.9%
შრომის ანაზღაურება	1,929.8	2,577.3	2,298.9	89.2%	369.1	19.1%
საქონელი და მომსახურება	1,859.8	2,232.0	1,966.3	88.1%	106.5	5.7%
პროცენტი	1,148.8	1,540.0	1,408.5	91.5%	259.7	22.6%
სუბსიდიები	849.9	1,044.9	975.6	93.4%	125.8	14.8%
გრანტები	1,064.1	1,513.0	1,388.1	91.7%	324.0	30.5%
სოციალური უზრუნველყოფა	6,210.5	7,470.4	7,084.3	94.8%	873.9	14.1%
სხვა ხარჯები	1,969.9	2,743.2	2,456.8	89.6%	486.9	24.7%
საოპერაციო სალდო	1,837.5	1,610.1	1,989.4	123.6%	151.9	8.3%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,248.8	3,980.6	3,343.5	84.0%	94.7	2.9%
ზრდა	3,354.4	4,180.6	3,580.1	85.6%	225.7	6.7%
კლება	105.7	200.0	236.7	118.3%	131.0	124.0%
მთლიანი სალდო	-1,411.2	-2,370.5	-1,354.0	57.1%	57.2	-4.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	531.3	-455.4	254.0	-55.8%	-277.3	-52.2%
ზრდა	795.2	305.6	564.2	184.7%	-231.0	-29.1%
ვალუტა და დეპოზიტები	556.6	0.0	345.1		-211.5	-38.0%
სესხები	237.1	305.6	215.8	70.6%	-21.2	-9.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.5	0.0	3.3		1.7	114.7%
კლება	264.0	760.9	310.2	40.8%	46.2	17.5%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	0.0	0.0%	0.0	
სესხები	262.4	300.0	310.2	103.4%	47.8	18.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.6	0.0	0.0		-1.6	-100.0%
გალდებულებების ცვლილება	1,942.5	1,915.1	1,608.1	84.0%	-334.4	-17.2%
ზრდა	2,937.4	3,338.5	2,787.0	83.5%	-150.4	-5.1%
საშინაო	1,278.1	1,500.0	1,290.1	86.0%	12.0	0.9%
საგარეო	1,659.3	1,838.5	1,497.0	81.4%	-162.4	-9.8%
კლება	994.9	1,423.4	1,179.0	82.8%	184.0	18.5%
საშინაო	34.6	42.7	34.7	81.2%	0.1	0.2%
საგარეო	960.3	1,380.6	1,144.3	82.9%	184.0	19.2%
ბალანსი	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	25,030.4	22,556.7	90.1%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	86.6	73.0	84.2%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.8	60.8	84.6%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებველო საქმიანობა	25.8	17.8	69.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მუშორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	8.8	8.4	95.8%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	37.3	34.6	92.7%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	37.2	34.5	92.7%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.05	97.8%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.8	10.7	83.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.6	83.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.3	1.0	76.5%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.6	8.1	84.6%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.9	0.7	82.4%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	27.0	31.9	118.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23.3	18.5	79.5%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	171.2	177.6	103.7%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	29.9	25.7	85.9%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.1	1.7	83.4%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	11.5	90.3%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	126.5	138.6	109.6%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.2	4.7	76.5%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	17.4	14.8	85.1%
09 00	საერთო სასამართლოები	137.5	94.7	68.9%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	134.0	92.4	68.9%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	2.3	66.9%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10.6	5.2	49.6%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.4	1.1	76.9%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, თზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	75.4%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, განის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.4	1.2	87.7%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	1.0	80.2%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	73.9%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	1.0	89.2%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.9	85.9%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	1.1	78.8%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	77.2%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210.0	180.7	86.0%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	161.2	140.5	87.2%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	45.3	37.4	82.5%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.5	2.8	79.9%
21 00	საქართველოს პროკურატურა	63.2	51.5	81.5%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.0	3.8	94.2%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	114.0	105.7	92.7%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	35.2	112.4%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადასხედელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	17.5	70.1%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	44.1	39.9	90.5%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9.6	8.9	92.3%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	2.2	168.1%
23 06	ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.7	2.0	75.5%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801.0	558.8	69.8%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	21.1	13.7	65.0%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.1	1.7	82.4%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	1.2	97.4%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	1.5	83.5%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	33.5	29.7	88.7%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	152.1	137.1	90.1%
24 07	მენარმეობის განვითარება	304.9	179.0	58.7%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.9	4.0	82.3%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	300.0	174.9	58.3%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	81.1	57.1	70.5%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.8	0.8	94.5%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	22.0	14.3	64.9%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	10.5	87.5%
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	5.0	0.3	6.1%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	3.1	101.9%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	125.0	89.5	71.6%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	120.0	66.5	55.4%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
24 14 01 01	500 კვ ევბ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	40.0	15.5	38.7%
